თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2015 წლის 19 ივნისი სხდომის ოქმი #6

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 20, სტუდენტები – 4, სულ –24 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცება.

/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი გ. ხასია/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით განხორციელებული პროგრამული ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

6. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 29 მაისის #5 სხდომის დღის წესრიგი

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტს განცხადებით მომართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი კავკასის ბიზნესის სკოლის ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობის კურსდამთავრებულ გიორგი ტურძელაძემ დიპლომში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასასწორებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ, ზემოაღნიშნული ბრძანების შემდეგ გახდა სავალდებულო დიპლომის ფორმაში აღნიშნული რეკვიზიტების მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე სავალდებულოა დიპლომში მისათითებელი, სავალდებულო რეკვიზიტების დადასტურება ან/და აღდგენა.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ კავკასიის ბიზნესის სკოლის მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით გიორგი ირაკლი ძე ტურძელაძე 2001 წელს

საკონკურსო შერჩევის შედეგებით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ჩაირიცხა კავკასიის ბიზნესის სკოლის ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობის I კურსზე. წარმოდგენილ დოკუმენტებს თანდართული ჰქონდა სხვადასხვა ნომრისა და ერთნაირი შინაარსის ორი ბრძანება №4/1179, 22.10.2001 (დამოწმებული თსუ კანცელარიის ბეჭდით) და №4/1199, 22.10.2001 (დამოწმებული კავკასიის უნივერსიტეტის ბეჭდით). მოგვიანებით სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოგვაწოდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 29 მაისის №646/01-04, 29.05.2015 ბრძანება, რომლის თანახმადაც არარად იქნა აღიარებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2001 წლის 22 ოქტომბრის №4/1199 ბრძანება.

თსუ რექტორის 2005 წლის 13 ოქტომბრის №4/958 ბრძანებით „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ ფინანსების სპეციალობის ბაკალავრიატის 2004 წლის კურსდამთავრებულებს (მ.შ. გიორგი ტურძელაძე) მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი. გამომდინარე აღნიშნულიდან, გიორგი ტურძელაძემ სწავლა დაასრულა 3 წელიწადში, რაც არ შეესაბამებოდა მის სასწავლო ბარათსა და კავკასიის უნივერსიტეტის პრედიზენტის წერილის შინაარს. სასწავლო ბარათიდან ნათლად ჩანდა, რომ გიორგი ტურძელაძემ კავკასიის ბიზნესის სკოლაში სწავლობდა 8 სემესტრის განმავლობაში, ხოლო კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, ბატონი კახა შენგელია ქალბატონ რუსუდან სანადირაძისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ „საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს და გ. ტურძელაძემ სწავლის სრული კურსი დაასრულა 2005 წლის გაზაფხულის სემესტრში“.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი დოკუმენტები. კერძოდ, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბატონ კახა შენგელიას წერილი (2 გვერდი) და ყოფილი კავკასიის ბიზნსის სკოლის დეკანის მოხსენებითი ბარათი (№10-01, 07.10.2005). წერილიდან ირკვევა, რომ გიორგი ტურძელაძემ ნამდვილად დაასრულა 8 სემესტრიანი, ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამა 2005 წლის გაზაფხულის სემესტრში. სამწუხაროდ, არქივში არ არის შემონახული სახელმწიფო საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გიორგი ტურძელაძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით (ფინანსების სპეციალობით). მოხსენებითი ბარათიდან კი ირკვევა, რომ ყოფილი კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაკალავრიატის ფინანსების სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულებს და მ.შ. გიორგი ტურძელაძეს მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი.

წერილს თარ ერთვოდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 1 ივნისის №652/01-04 ბრძანება, რომლითაც გასწორდა თსუ რექტორის 2005 წლის 13 ოქტომბრის №4/958 ბრძანების

მე-2 პუნქტში, დამთავრების წელში დაშვებული ტექნიკური შედომა და მე-2 პუნქტის მე-8 ნომერი ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი შპს „კავკასიის ბიზნეს-ადმინისტრირების სკოლის“ ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ტურძელაძეს, სპეციალობა ფინანსები. დიპლომში არჩეული ხარვეზების გამო გაუქმებულად გამოცხადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შპს „კავკასიის ბიზნეს-ადმინისტრირების სკოლის“ 2005 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ტურძელაძის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომი BN№001126 (სარეგისტრაციო №34) და დიპლომის დანართი.

საქმისწარმოებისას გაირკვა, რომ კავკასიის ბიზნესის სკოლის 2005 წლის კურსდამთავრებულებს აკადემიური ხარისხი მიენიჭა სახელმწიფო საატესტაციო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით, რომელიც სამწუხაროდ არ არის შემონახული არქივში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2005 წლის 13 ოქტომბრის №4/958 ბრძანების საფუძველზე კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ეკონომისტ-მარკეტინგის კვალიფიკაციით მარკეტინგის სპეციალობის 16 კურსდამთავრებულს, ხოლო ეკონომისტის კვალიფიკაცია ფინანსების სპეციალობის 31 კურსდამთავრებულს.

საქმისწარმოებისას გაირკვა, რომ არქივში არ არის შემონახული კავკასიის ბიზნესის სკოლის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. თსუ სასწავლო დეპარტამენტთან და იურიდიულ დეპარტამენტთან კონსულტაციებიდან გამომდინარე ამ გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე - 24**

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ყოფილი კავკასიის ბიზნესის სკოლის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:

- თსუ რექტორის 2005 წლის 13 ოქტომბრის №4/958 ბრძანებით კავკასიის ბიზნესის სკოლის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. გიორგი ტურძელაძე) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღად განისაზღვროს ***2005 წლის 13 ოქტომბერი*** და ოქმის ნომრად ***№958/3.***
- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თსუ ყოფილი კავკასიის ბიზნესის სკოლის მარკეტინგის და ფინანსების სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის №4/958, 13.10.2005 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება №4/958, 13.10.2005).*

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცება.

/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი გ. ხასია/

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტმა გ. ხასიამ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ახალი დებულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულების პროექტი ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად და შენიშვნების გამოსახატავად. ფაკულტეტის საბჭოს წევრების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები შესაძლებლობის ფარგლებში იქნა გათვალისწინებული. გ. ხასიამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მოახსენა იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც განხორციელდა ფაკულტეტის დებულებში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები და დაისვა კითხვები.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. ბერიძემ (ფაკულტეტის დეკანი), პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ი. მესხიამ, პროფ. ე. ხარაიშვილმა, პროფ. მ. მარგველაშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ, ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილმა, ასოც. პროფ. ლ. საბაურმა.

პროფ. ი. მესხია - მან აღნიშნა, რომ დებულებაში არ არის ჩამოყალიბებული კათედრების ფუნქციები. დისერტაციების განხილვა ხდება კათედრის სხდომაზე და უნდა გაკეთდეს ამონაწერი. ეს არ ჩანს დებულებაში. ამ საკითხზე საჭიროა სამომავლოდ მუშაობა.

პროფ. ნ. თოდუა - მან დასვა შეკითხვები და წაიკითხა ის შენიშვნები და მოსაზრებები, რომელიც გაგზავნილი იქნა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტთან გ. ხასიასთან. ეს შენიშვნები იყო შემდეგი:

თავი I, ზოგადი დებულებანი, მუხლი 3. ფაკულტეტის ამოცანები:

- პუნქტი ,,დ" -დაემატოს სიტყვა კურსდამთავრებულთა;
- პუნქტი ,,დ" -დაემატოს სიტყვა ,,ბიზნესის";
- პუნქტი ,,ი" -ამოღებული იქნას სიტყვა ,,სწავლება".
- პუნქტი ,,კ" - დაემატოს სიტყვები ,,აკადემიური პერსონალის"

თავი II, ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა, მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა:

- პუნქტი 6 - დაემატოს სიტყვა თავიანთი;

თავი III, ფაკულტეტის საბჭო, მუხლი 5.ფაკულტეტის საბჭო;

- პუნქტი 7 - ,,განმეორებით კენჭისყრაში ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კათედრის ხელმძღვანელის ხმა". მან დასვა კითხვა: თუ კათედრის ხელმძღვანელი თვითონ არის კანდიდატი, რა ხდება ამ შემთხვევაში?

თავი III, ფაკულტეტის საბჭო, მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება:

- პუნქტი ,,კ" - დაემატოს სიტყვა ,,სადოქტორო"

თავი III, ფაკულტეტის საბჭო, მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ჩატარების წესი და საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა:

- პუნქტი 1 - ,,ფაკულტეტის საბჭო, როგორც წესი, იკრიბება კალენდარული თვის პირველი კვირის განმავლობაში-უმჯობესია იყოს თვეში ერთხელ.
- პუნქტი 3 - ,,როგორც აკადემიური პერსონალიდან არჩეული ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება." - გამოდის, რომ იმ კათერდას 3 წარმომადგენელი ეყოლება..
- პუნქტი 7 - უნდა მიეთითოს რამდენი სამუშაო დღით ადრე
- პუნქტი 12 - ,,ოქმი უნდა განთავსდეს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე." - უნდა დაკონკრეტდეს რამდენ ხანში.

თავი IV, ფაკულტეტის დეკანი, მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანის სტატუსი და არჩევის წესი:

- პუნქტი 3 - დაემატოს სიტყვა ,,სამუშაო"

თავი IV, ფაკულტეტის დეკანი, მუხლი 9. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილებები

- პუნქტი 2 - სიტყვა ,,სამართლებრივი" ზედმეტია;
- პუნქტი 3 - ,,ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე დეკანისათვის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლის (მივლინება), ასევე

შვებულების მიცემის გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რაც ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.“ - გაუგებარია.

- პუნქტი 5 - დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს.“ - რამდენი ხნით?

  თავი V, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მუხლი 11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- პუნქტი 4 - უნდა დაემატოს სიტყვა ,,პროგრამები“

  თავი VII, სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები, მუხლი 14. კათედრა:

- პუნქტი 2- გამორჩენილია ფრაზა
- პუნქტი 5 - ,,კათედრას ხელმღვანელობს პროფესორი, რომელიც აირჩევა კათედრის პირველ სხდომაზე. კათედრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კათედრის ეფექტურ ფუნქციონირებას“ - გაუგებარია რას ნიშნავს.
- პუნქტი 6 - ,,იმ შემთხვევაში თუ კათედრის შემადგენლობაში შედის მხოლოდ ერთი პროფესორი, ის ავტომატურად ინიშნება კათედრის ხელმძღვანელად“ - ვინ ნიშნავს? მოვალეობა კი არის ეფექტური ფუნქციონირება, მაგრამ რისი უფლებები აქვს, ეს არ წერია. პუნქტი 6 - ,,ხელმძღვანელად ინიშნება იმ კანდიდატებიდან უხუცესი, რომელთა შორისაც ხმები თანაბრად გაიყო.“ -დეკანმა უნდა დანიშნოს

  თავი VII, სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები, მუხლი 15. ეკონომიკისსაერთაშორისო სკოლა (ISET)

- მუხლი 1 - ,,ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა წარმოადგენს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამასა და კვლევებს ეკონომიკის მიმართულებით.“ - მე-4 მუხლის მიხედვით ეს არის კათედრა.

- მუხლი 5 - ,,ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა იმართება დირექტორის მიერ, რომელსაც ნიშნავს PEER-ის მმართველთა საბჭო. თსუ-ს რექტორი PEER-ის მმართველთა საბჭოს სრულუფლებიანი წევრია, ხმის მიცემის უფლებით.“ - თუ ფაკულტეტის შემადგენლობაშია და მისი სტრუქტურული ერთეულია, ფაკულტეტი არ უნდა მართავდეს? ეს ნონსენსია.

- მუხლი 5 - ,,ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დაფინანსების წყაროებია“- ეს ფაკულტეტის ბიუჯეტში უნდა აისახოს.

  თავი IX, საგანმანათლებლო პროგრამები, მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, კოორდინატორი:

- პუნქტი 5 - ,,პროგრამის ხელმძღვანელები მათი შემადგენლობიდან კონკრეტული პროფილის აკადემიური პერსონალის სხდომაზე- გაუგებარია.

- პუნქტი 7 - ,,პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და ზოგადად ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე.“ - ამაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს სილაბუსის ავტორი და ხარისხის სამსახური.

მუხლი 24. აკადემიური პერსონალის სხდომა - გაუგებარია, რომელი აკადემიური პერსონალის.

- პუნქტი 4 - სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება შესაბამისი პროფილის პროგრამის ხელმძღვანელების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის გზით და გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტი.“ - სხდომაზე მარტო ესენი უნდა იყვნენ? თუ ასეა, მაშინ აკადემიური პერსონალის ხდომა რატომ ჰქვია?

მუხლი 25. ფაკულტეტის აკრედიტირებული პროგრამები

- პუნქტი 2 - ,,გ“- ,,ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა;
- ,,დ" - ,,თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (ISET)” - თუ აღნიშნული პროგრამები ფაკულტეტის პროგრამაა, მაშინ მას ფაკულტეტი უნდა მართავდეს.
- მუხლი 28. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები
- პუნქტი - 2 - ,,უცხო ენაში/სპეციალობაში დაიშვებიან მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ სპეციალობის/უცხო ენის გამოცდას.“ - თუ გამოცდას ჩააბარებენ, მერე რა უნდა ჩააბარონ?
- პუნქტი - 3 - სამაგისტრო პროგრამით განისაზღვრება უცხო ენა და საჭირო დონე.“ - დასაზუსტებელია რისი საჭირო დონე? იქვე: (იხ. დანართი №2)- ვინც გერმანულს ან ფრანგულს აბარებს?

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა გ. ხასიამ აღნიშნა, რომ ამ შენიშვნების უმეტესობა უკვე გათვალისწინებულია დებულების პროექტის ბოლო ვერსიაში. თითოეულ შეკითხვაზე გაცემული იქნა პასუხი. გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები.

პროფ. ნ. თოდუა - მან აღნიშნა რომ გაუგებარია ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის და ტურიზმის პროგრამების შესახებ ბევრი რამ. ,,თუ ამ პროგრამებს მართავს ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი, მაშინ მარტო პროგრამები და მეტი არფერი“?

გ. ხასიამ აღნიშნა, რომ ამ დებულებაში დაემატა ერთი მუხლი ამ საკითხთან დაკავშირებით

პროფ. მ. მარგველაშვილი - ,,ის, რაც აისეტთან დაკავშირებით ითქვა, მგონია სამართლიანია და სწორი. აისეტს ცაკლე მმართველი გუნდი ჰყავს, არ სჭირდებათ ჩვენნაირი კონკურსების გავლა, მე მგონი რომ ფაკულტეტი არ მართავს აისეტს. მე არ ვარ საფაკულტეტო დამხმარე სტრუქტურა, მაგრამ პროგრამები არის ფაკულტეტის საკუთრება, გამომდინარე იქიდან, რომ კათედრა არის ფაკულტეტის შემადგენლობაში და მე წარმოვადგენ კათედრას. ეს არის ფაკულტეტის პროგრამა და მე ვარ ამ ფაკულტეტის პროფესორი. მე ვარ ამ პროგრამების ხელმძღვანელი, ამიტომ ეს პროგრამები არის ფაკულტეტის და გადაცემული აქვს დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს. საათები ნაწილდება ფაკულტეტზე და პროფესორები

იღებენ დამატებით ანაზღაურებას. 30%-ზე მეტი ხარჯი არ მაქვს და დამეთანხმება ბატონი თემური, რომ ფინანსური ანგარიში იქნა წარდგენილი და 70% ფინანსურ მოგებას ვაძლევ უნივერსიტეტს ჩვენი შემოსავლიდან. მომეცით უფლება ჩემი აზრი ვთქვა. ამას დრო სჭირდება, დავინახო როგორ იმართება, როგორ მოხდა ინტეგრაცია და ჩვენი ინტეგრაცია ბევრად მარტივი იქნება, ვიდრე აისეტის. მაგრამ ჯერ ამის მაგალითი უნდა დავინახოთ-როგორია მათი ინტეგრაცია."

ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძე - მუხლი 11, პუნქტი 3 - გაუგებარია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრის შესახებ. მან ასევე აღნიშნა, რომ კათედრების უფუნქციობა გამოწვეულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ჩანაწერით. საჭიროა ამ ჩანაწერის შეცვლა. უნდა დაისვას საკითხი, გაითვალისწინონ კათედრის ფუნქციების შეტანა კანონში.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა გ. ხასიამ განმარტა აღნიშნული მუხლი.

ასოც. პროფ. ლ. საბაური - ,,თუ არ არის სავალდებულო და არ არის კანონის მოთხოვნა, პროგრამების ჩამონათვალი ასე დეტალურად რომ არ იყოს, არის თუ არ შესაძლებელი? პროფესიულ პროგრამებზე ვიცი, რომ იქნება ერთი სერიოზული პროგრამა და მერე ამის გამო დებულებაში უნდა შევიდეს ცვლილება. კათედრების შესახებ მინდა ვთქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სულ ვსაუბრობთ კათედრის უფუნქციობის შესახებ, ეს მაინც არ სწორდება. კათედრაზე სამეცნიერო მიმართულებით ვინც უნდა იყოს ეს ცალსახად არის ეს დირექტივით დეკანის ან სხვა ვინმეს მიერ გადასაწყვეტი. ვთვლი, რომ აუცილებელია დებულებაში ჩაწერილი იყოს: კათედრის სტრუქტურული ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნის შესაბამისად იყოს წარდგენილი დეკანის მხრიდან. ამ შემთხვევაში პრევენცია იქნება დეკანის უფლება-მოვალეობებისა და არ შეიძლება, რომ მარტო ის ცალსახად ღებულობდეს ამ მიმართულებით გადაწყვეტილებას. არ უნდა აღმოვჩნდეთ ისეთი ფაქტის წინაშე, როდესაც ფაკულტეტის და კათედრის ნებართვის გარეშე ვინმე გაურიგდეს ვიღაცას და გამოაცხადოს კონკურსი. ეს არის აბსოლუტურად დაუშვებელი. არც დეკანმა და არავინ არ იცის იმაზე უკეთესად, კათედრაზე რამდენი სამეცნიერო-აკადემიური შტატი უნდა არსებობდეს. საათებიც რომ არსებობდეს, თუკი კათედრა მართავს და ხელმძღვანელი ეფექტურად ახორციელებს ამას, თუ არ იქნება დათვლილი ხარჯები შტატების დამატების შედეგად, მაშინ იქნება 80 შტატი და ვინც არის ამჟამად კათედრაზე, მათი არსებობა მომავალში ეჭვის ქვეშ დადგება.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა გ. ხასიამ განმარტა, რომ უნივერსიტეტის წესდებაში - ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილებები - ნათლად წერია, რომ დეკანი რექტორს წარუდგენს აკადემიური თანამდებობეის ნუსხის პროექტს.

ასოც. პროფ. ლ. საბაური - მან აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა წარდგენა უნდა მოხდეს დეკანის მხრიდან. მთავარია გაირკვეს ვისი მოთხოვნით, საიდან და რის საფუძველზე იღებს დეკანი ამ გადაწყვეტილებას. მან აღნიშნა, ამის ფაქტი უკვე არსებობს და ის პრონციპულად არ დაუჭერს დებულების დამტკიცებას მხარს სწორედ ამ მიზეზის გამო.

პროფ. მ. მარგველაშვილი - საჭიროა განიმარტოს, რის საფუძველზე იღებს დეკანი ამ გადაწყვეტილებას. საჭიროა მივუთითოთ გადაწყვეტილების საფუძველი.

პროფ. ე.ხარაიშვილი - მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს მუშაობისთვის და გ. ხასიას არგუმენტირებული პასუხებისთვის. მან აღნიშნა, რომ აქვს კითხვა: ხომ არის შეთანხმებული ცენტრალურ იურიდიულ სამსახურთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული რაიმე მნიშვნელოვანი შეუსაბამობები?

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა გ. ხასიამ განმარტა, რომ მას იურიდიულ დეპარტამენტთან არაერთი შეხვედრა ჰქონდა და ეს საკითხები შეთანხმებულია.

ასოც. პროფ. ლ. საბაური - მან აღნიშნა, რომ საჭიროა არა მარტო ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტთან, არამედ სხვასთანაც კონსულტაციების გავლა.

საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ ბერიძე - მან გამოთქვა რამოდენიმე მოსაზრება:

პირველი - ის, რომ დებულება ფაკულტეტს სჭირდება ეფექტიანი მართვისათვის. დეტალიზირება შეუძლებელია და რაც მისაღებია, ის იქნება გათვალისწინებული. როდესაც სამართლებრივ დოკუმენტში იდება დეტალიზირებული ინფორმაცია, ეს აპრიორი მომავალს გარკვეულად გვბოჭავს და ჩვენ დავდგებით ისეთი საკითხის წინაშე, რომ მივიღოთ მომავალში დამატებითი რეგულაციები.

მეორე - რაც შეეხება კათედრას/პროგრამას/დეპარტამენტს. მან აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა იქნება სახელწოდება - დეპარტამენტი თუ კათედრა. მთავარი მიზნობრივი ფუნქცია არის მართვა და უნდა იმართებოდეს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო პროცესი. ამიტომ ამ რეკომენდაციას ის არ ემხრობა.

საერთო რეგულაციებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ არის ზოგიერთი ნორმა, რომელიც რეალობიდან გამომდინარე შესაძოა ეფექტიანი არ იყოს, მაგრამ სამართლებრივად საჭიროა დავექვემდებაროთ ცენტრალურ რეგულაციას. ეს ეხება უნივერსიტეტის წესდებას, საქართველოს ძირითად კანონს უმაღლესი განათლების შესახებ.

ზოგიერთი საკითხი, რომელიც იქნება დებულებაში და კრიტიკის საგანი გახდება, რომელიც კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარეობს, მომავალში იქნება გათვალისწინებული.

ფაკულტეტის საბჭოს წევრების ინიციატივით, წარმოდგენილ ფაკულტეტის საბჭოს დებულებაში განხორციელდა ცვლილებები.

ამასთანავე, შემუშავდა რეკომენდაცია, რომლის შესაბამისადაც მომდევნო 1 თვის განმავლობაში შემუშავდება დოკუმენტი ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულების (კათედრების) უფლება-მოვალეობების განსაზღვრის შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე– 23

წინააღმდეგი – 1

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება (იხ. დანართი).

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით განხორციელებული პროგრამული ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ-მა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით პროგრამული ცვლილებები ამჯამად არ განხორციელდება, რადგანაც პროცედურულად ჯერ-ჯერობით საკითხის დამუშავებული არ არის. მან აღნიშნა, რომ დღეს ის საბჭოს წევრებს აწვდის მხოლოდ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სხვადასხვა წიანდადებები ცვლილებებთად დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა თვალსაზრისები. გადაწყდა, რომ ერთი კვირის ვადაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარმოდგენილ იქნას შესაბამისი წერილები, განხილვის ოქმები და გადამუშავებული სილაბუსები, რათა შემდეგ საბჭოს სხდომაზე მოხდეს პროგრამული ვცლილებები..

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში შეტანილი იყო წინა საბჭოს სხდომაზე, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული. საფუძველი იყო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსული ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქ-ნი ი. მშვენიერაძის სამსახურეობრივი ბარათი (#2953/29, 21.04.2015), სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (#12367/02, 02.04.2015), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტატიტიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულის სოფიო ბუთხუზის დიპლომის დანართი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ სოფიკო ბუთხუზი 2003 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საბიუჯეტო განყოფილების სტატისტიკის სპეციალობაზე (ბრძანება #4/852, 2.08.2003).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს შესაბამისის აკადემიური ხარისხის მინიჭებისადა დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 4 აპრილის #531/01-04 ბრძანებით სოფიო ბუთხუზს მიენიჭა მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სტატისტიკოსის კვალიფიკაციით (ბრძანება #531/01-04, 04.04.2008).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის თაობაზე რექტორის #531/01-04 ბრძანებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 19 ნოემბრის #1916/01-04 ბრძანებით სტატისტიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ სოფიკო ბუთხუზს, ნაცვლად სოფიო ბუთხუზისა მიენიჭა მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სტატისტიკოსის კვალიფიკაციით.

სოფიკო ბუთხუზის დიპლომში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის

#633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ სოფიკო ბუთხუზის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანების შესაბამისად. მოქმედი კანომდებლოის მიხედვით არასწორად აქვს მინიჭებული ხარისხი და აღნიშნული ბრძანების მიხედვით სტატისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს უნდა მიენიჭოს ,,მათემატიკის ბაკალავრის" ხარისხი.

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭო უარს ამბობს ,,მათემატიკის ბაკალავრის" ხარისხის მინიჭებაზე და ეს სწორია იმ აზრით, რომ სოფიკო ბუთხუზის მიერ გავლილი საგნების მიხედვით კურსადმთავრებულის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები და შეძენილი კომპეტენციები უფრო სოციალური მეცნიერებების, კერძოდ ეკონომიკის შესაბამისია. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ამ საკითხის დასაზუსტებლად კიდევ ერთხელ მიმართა თსუ იურიდიულ სამსახურს და საბჭოს წევრებს ი. ნაცვლიშვილმა გააცნო თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ა. კუკულავას წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ სოფიკო ბუთხუზისთვის ხარისხის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის საბჭომ უნდა იმსჯელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანების შესაბამისად ათვისებული სასწავლო კურსების გათვალისწინებით.

ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწავლო დეპარტამენტიდან გამოითხოვა სოფიკო ბუთხუზის მიერ ათვისებული სასწავლო კურსების ჩამონათვალი. იურიდიული დეპარტამენტი გვაძლევს რეკომენდაციას, რომ ფაკულტეტის საბჭომ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შინაარსის მიხედვით განსაზღვროს აღნიშნული საკითხი. ამდენად, მიზანშეწონილია ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის სტატისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულ სოფიკო ბუთხუზს მინიჭებული მეცნიერების ბაკალავრის ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ,,სოციალური მეცნიერების ბაკალავრის" აკადემიური ხარისხი.

აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს თსუ რექტორის 2008 წლის 4 აპრილის #531/01-04 ბრძანებით სტატისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 24
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის სტატისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულ სოფიკო ბუთხუზს მინიჭებული მეცნიერების ბაკალავრის ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ,,სოციალური მეცნიერების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი;
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს თსუ რექტორის 2008 წლის 4 აპრილის #531/01-04 ბრძანებით სტატისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის.

მოისმინეს: 2015 წელს მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარში ცვლილებების შეტანის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ი. ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ეს ცვლილებები განპირობებულია იმ მიზეზით, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ ხელმძღვანელის, პროფ. დავით ნარმანიას წერილი #3491/29, 05.06.2015, სადაც აღნიშნულია, რომ 2015-2016 შემოდგომის სემესტრში ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ მიღება აღარ განხორციელდება (საფუძველი: ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის რექტორის ბ-ნ ვალტერ როზენტალის წერილი -13.04.2015).

ამ ანკეტა კითხვარში აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე გამოყოფილი იყო 25 ადგილი. საჭიროა შევიდეს ცვლილება 2015 წლის მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარში, კერძოდ კი ანკეტა-კითხვარიდან ამოღებულ იქნას სამაგისტრო პროგრამა, ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ (ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა იენის (გერმანია) უნივერსიტეტთან ერთად.

ქ-მა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა რომ, იენასთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაში შედიოდა, ამიტომ ლოგიკური იქნება აღნიშნული სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტით გათვალისწინებული 25 ადგილი დაემატოს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას.

საჭიროა შევიდეს ცვლილება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე 2015 წელს მისაღები კონტიგენტის რაოდენობაში და მისაღები კონტინგენტი ნაცვლად 200 ადგილისა, განისაზღვროს 225 ადგილით.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ, პროფ. მ. მარგველაშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილება 2015 წლის მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარში:
   ა) ამოღებულ იქნას სამაგისტრო პროგრამა ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ (ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა იენის (გერმანია) უნივერსიტეტთან ერთად);
   ბ) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტი ნაცვლად 200 ადგილისა განისაზღვროს 225 ადგილით.
2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნული ცვლილების დამტკიცება.

მოისმინეს: თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,ალბათობის თეორია და სტატისტიკა” (7-12 სექტემბერი, 2015) თანადაფინანსების შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯერმა საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ 2015 წლის 7-12 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ალბათობის თეორია და სტატისტიკა”, რომლის ორგანიზატორები არიან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და საქართველოს სტატისტიკური ასოციაცია.

კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 30-ზე მეტმა უცხოელმა მეცნიერმა 18 ქვეყნიდან. აღნიშნული კონფერენციის სამეცნიერო ხელმძღვანელია ველინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი ესტატე ხმალაძე. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან საორგანიზაციო კომიტეტის წევრია დეკანი, პროფ. თ. ბერიძე და ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფ. ს. გელაშვილი.

ბ-მა ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელის, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრის, პროფესორი სიმონ გელაშვილის წერილის თანახმად, ის ფაკულტეტის საბჭოს სთხოვს მხარდაჭერას, რათა აღნიშნული კონფერენციის ჩასატარებლად თანადაფინანსების სახით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ხარჯებიდან გამოიყოს 2500 ლარი. წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ბიუჯეტის თანხა განსაზღვრულია 10800 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს თანხა 2500 ლარის ოდენობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,ალბათობის თეორია და სტატისტიკა", ჩატარებისთვის.

მოისმინეს: ინფორმაცია აკადემიური პერსონალის დატვირთვის განაწილებისას დამატებითი საათობრივი ანაზღაურების შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. თ. ბერიძე/

ფაკულტეტის დეკანმა, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის პროფესორების ნაწილმა მას მიმართა წინადადებით: ყველა კათედრას მიეცეს უფლება, რათა კათედრის აკადემიური პერსონალს შეეძლოს დამატებითი 6 საათების ჩატარება და მისი ანაზღაურება მოხდეს საათობრივი წესით განსაზღვრული ანაზღაურების შესაბამისად, მოქმედი რეგულაციის მიხედვით.

ბ-მა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამას გარკვეული რისკები შეიძლება ახლდეს თან, კერძოდ ის, რომ საათების რაოდენობა არ იზრდება და შესაბამისად შეუმცირდებათ საათები მოწვეულ პროფესორებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა კათედრაზე იქნება ერთნაირი მდგომარეობა, არის კათედრები, სადაც არ არის დამატებითი საათების გაცემის საშუალება. მაგრამ საბოლოო ჯამში რომ ეს კარგი ინიციატივაა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე	თ. ბერიძე
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სწავლული მდივანი	მ. ნაცვალაძე